



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 28
26/06/2020

28-09-4-202006261723



„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილების და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე:

1. მოწონებულ იქნეს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსზე 2020 წელს წარსადგენი შემდეგი პროექტები:

ა) ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე ჰიპერმარკეტ „გორგია“-ს მიმდებარედ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ბ) თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. რუისპირის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია.

2. ნება დაერთოს თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.


3. დაევალოს თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ.№41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

